

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია

2013 წლის მაისი

წინამდებარე სტრატეგია მომზადდა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ პროექტის - „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“- ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტრატეგიის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას.

წინამდებარე სტრატეგიაზე ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საავტორო უფლებები. დაუშვებელია სტრატეგიის ან სტრატეგიის ნაწილის გამოყენება კომერციული ან სხვა მიზნებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ნებართვის გარეშე.

შინაარსი:

1. შესავალი.....	3
2. სტრატეგიის მიმართულებები და მისი რეალიზაციის შეფასების კრიტერიუმები	5
3. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პოლიტიკის ტექნიკური და ტექნოლოგიური მიმართულებები.....	6
4. ბიზნეს მოდელი.....	9
5. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიების და ავტორიზაციის საკითხები.....	11
6. უფლების მინიჭების პროცედურები.....	12
7. საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკა.....	13
8. რეგიონული მაუწყებლების დახმარების ღონისძიებები	15
9. კონკურენციის რეგულირების პოლიტიკა	16
10. მულტიპლექსირების ოპერატორის ქსელში არხების განთავსების რეგულირება.....	20
11. საინფორმაციო კამპანიის შინაარსი და მისი დაფინანსება	21
12. დაფინანსება და ფასების რეგულირება	22
13. სტრატეგიის იმპლემენტაციის მართვა და ზედამხედველობა.....	23
14. დაინტერესებული მხარეების ვალდებულებები	24

1. შესავალი

საქართველოს მთავრობა, ითვალისწინებს რა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, როგორც ციფრული საეთერო მაუწყებლობის, ასევე სატელეკომუნიკაციო და სამაუწყებლო სფეროს განვითარების მიმართულებით, განსაზღვრავს საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ორიენტირებს, სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს.

ქვეყნის სტრატეგიული ორიენტირია, რომ საქართველოში ანალოგური მაუწყებლობის სრული გათიშვა მოხდეს 2015 წლის 17 ივლისამდე, ხოლო ამ თარიღამდე უნდა დასრულდეს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის გეგმის რეალიზაცია. აღნიშნული ვადა განსაზღვრულია საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირის (ITU) მიერ. აღნიშნული გულისხმობს, რომ 2015 წლის ივნისის შემდეგ არსებული ანალოგური ტელევიზიის სადგურები აღარ იქნება სამართლებრივად დაცული მეზობელი ქვეყნების სადგურების გადაფარვისგან.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- მომხმარებელთა ინტერესების დაცვა;
- საქართველოში საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა;
- გამოხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის უზრუნველყოფა;
- მედიის თავისუფლების ხელშეწყობა;
- კონკურენტუნარიანი ბაზრების განვითარების ხელშეწყობა;
- ამოწურვადი სიხშირული რესურსის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება;
- საერთაშორისო სტანდარტების დაცვა;
- საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია, რომ ციფრული მიწისზედა საეთერო მაუწყებლობა ჩამოყალიბდეს, როგორც კონკურენტი პლატფორმა არსებული სამაუწყებლო ტექნოლოგიების გვერდით.

უკეთესი ხარისხის სამაუწყებლო პროგრამების გარდა, საეთერო ციფრული მაუწყებლობის მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება მიიღოს ახალი თაობის ინტერაქტიული სერვისები, საგანმანათლებლო ან სხვა კატეგორიის საინფორმაციო მომსახურება და პროდუქტები, რომელთა მიწოდება შეუძლებელია ანალოგური საეთერო ქსელით. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა შექმნის წინაპირობებს სატელევიზიო პროგრამების მრავალფეროვნებისთვის, აუდიოვიზუალური მედიისთვის და მომსახურების მიწოდებლებისათვის. ციფრულ საეთერო ქსელზე დაფუძნებული დამატებითი და ახალი თაობის სერვის მიწოდება უნდა შეიზღუდოს ციფრულ მაუწყებლობაზე გარდამავალ პერიოდში.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს, სამაუწყებლო და სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ინვესტირებისთვის კარგი და ხელსაყრელი პირობების შექმნა და შენარჩუნება, პროცესში სახელმწიფოს მინიმალური ფინანსური მონაწილეობის

უზრუნველსაყოფის მიზნით. საქართველოს მთავრობის სტრატეგიის ამოცანაა დაცული იყოს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესი.

მთავრობის ამოცანას წარმოადგენს:

- საქართველოში მოქმედ ყველა არსებული საეთერო მაუწყებლის, ისევე როგორც ყველა კონტენტის მწარმოებლის უზრუნველყოფა მათი პროგრამების და მაღალ გამტარიანი, მდგრადი და უსაფრთხო საეთერო ქსელით ტრანსლირების შესაძლებლობით, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით;
- მაყურებლებისთვის მაღალი ხარისხის და მრავალფეროვან პროგრამებთან წვდომის უზრუნველყოფა.

სტრატეგიის წარმატებით დასაწერად უნდა მოხდეს შემდეგი ეტაპების მოცვა:

- პროცესის სწორი დაგეგმარება;
- ცვლილებები საკანონმდებლო აქტებში;
- საზოგადოების ყველა ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო კამპანიის წარმოება;
- მულტიპლექს ოპერატორის შერჩევა და ლიცენზირება;
- პროცესის აუცილებელი მიმართულებების სუბსიდირება-ფინანსირება;
- ციფრული სატელევიზიო სისტემის უშუალო დანერგვის პროცესის სწორად წარმართვის მჭიდრო კონტროლი და კორექტირება ყველა ეტაპზე.

სტრატეგია ადგენს დამატებითი პირობებს და კრიტერიუმებს ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში პროგრამების განთავსების პრიორიტეტებისთვის გარდამავალ და შემდგომ პერიოდში. სტრატეგია განსაზღვრავს კომერციული მაუწყებლების მულტიპლექსორის რესურსებთან დაშვების წესს შეზღუდული რესურსის არსებობის შემთხვევაში.

2. სტრატეგიის მიმართულებები და მისი რეალიზაციის შეფასების კრიტერიუმები

წარმოდგენილი სტრატეგიის მიზანია უნივერსალური, საზოგადოების ყველა ჯგუფისათვის მისაღები სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრა, რომლებმაც უნდა მოიცვან შემდეგი მიმართულებები:

1. სატელევიზიო პროგრამების სრული ციფრული მაუწყებლობა საქართველოს მიწისზედა ქსელის მეშვეობით 2015 წლის 17 ივლისამდე;
2. პირობების შექმნა უფასო, უნივერსალური საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამების, ისევე როგორც ეროვნული, რეგიონული ან ლოკალური დონის კომერციული მაუწყებლების მომსახურების გასავრცელებლად;
3. შესაბამისი წინაპირობების უზრუნველყოფა რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტური გამოყენებისათვის, ტრანსლირების სიმძლავრის ოპტიმიზაციის გზით, საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისად;
4. მაუწყებლებისათვის ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელთან დაშვების კონკურენტული პირობების უზრუნველყოფა, ასევე სამაუწყებლო ბაზრის ღიაობის და სატელევიზიო კონტენტის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა;
5. სატელევიზიო პროგრამების მიწისზედა სამაუწყებლო ქსელით ციფრული გავრცელების სიკეთეების გამოყენებით, მეტი შესაძლებლობის უზრუნველყოფა საქართველოს მრავალფეროვანი კულტურის რეალიზაციისათვის, ასევე გაუმჯობესებული მედიის სფეროს ჩამოყალიბება, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისათვის მრავალმხრივი და განსხვავებული კონკურენტული უფასო კონტენტის ხელმისაწვდომობის კუთხით;
6. მიღწეული უნდა იყოს ანალოგურ მაუწყებლობაზე დამოკიდებული ბოლო მომხმარებლებისთვის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა ციფრული მიწისზედა სიგნალის შესაბამისი სტანდარტების აპარატურასთან, მათი სუბსიდირების, წახალისების და საცალო ბაზარზე მაქსიმალურად დაბალი სამომხმარებლო ფასების ფორმირების პროცესის ხელშეწყობით.

ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვა არ უნდა იწვევდეს ბოლო მომხმარებლისათვის და მაუწყებლებისათვის არავითარ უარყოფით შედეგს, არ უნდა აუარესებდეს არსებულ მდგომარეობას.

3. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პოლიტიკის ტექნიკური და ტექნოლოგიური მიმართულებები

ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის ტექნიკური და ტექნოლოგიური მიმართულებით საქართველოს მთავრობის ამოცანას წარმოადგენს მოახდინოს საქართველოს ციფრული საეთერო მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების იმგვარი დაგეგმარება, რომ ის შესაბამისობაში მოვიდეს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობის როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან მოთხოვნილებებთან, უზრუნველყოფილი იყოს დამატებითი და დაკავშირებული ელექტრონული სერვისების მიწოდების შესაძლებლობა, საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით მოხდეს უნივერსალური სამაუწყებლო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მოსახლეობის 85%-ისთვის, ასევე უზრუნველყოს დაცული და მდგრადი ქსელის ფორმირება არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.

საქართველოს საეთერო ციფრული მიწისზედა ქსელის გეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქვემოთ წარმოდგენილი მიმართულებები:

- ტექნოლოგიის შერჩევა;
- მულტიპლექს ოპერატორების და ქსელების რაოდენობა გარდამავალ და ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის მომდევნო პერიოდში;
- მოსახლეობის დაფარვის პროცენტული მაჩვენებელი;
- ახალი სადგურების დაგეგმვის აუცილებლობა და არსებულის ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის და გადამცემების გამოყენების შესაძლებლობა;
- ახალი სადგურების რაოდენობის დამატება ოპტიმალური დაფარვის ვალდებულების კონტექსტში;
- მიმღები ანტენების მდგომარეობის/პოზიციის განსაზღვრა;
- ერთ სიხშირული თუ მრავალ სიხშირული ქსელის, ან ჰიბრიდული მოდელის შერჩევა;
- არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენების და ქსელის არაგონივრული დუბლირების თავიდან აცილების საკითხები;
- უნივერსალური სამაუწყებლო მომსახურების ქსელის უსაფრთხოების საკითხები.

დამატებითი ინფრასტრუქტურის უშუალო დაგეგმარების სტადიაზე, უნივერსალური დაფარვისთვის 95%-იანი ვალდებულება უნდა დაკორექტირდეს ხარჯების ოდენობის და ხარისხის მაჩვენებელს შორის.

გარდამავალ პერიოდში, ეროვნული საეთერო სამაუწყებლო ქსელის ლიცენზიის გაცემისას, უნდა დადგინდეს:

- სატელევიზიო ჩვენების ფორმატი – SDTV
- გადაცემის სტანდარტი: DVB-T2
- კუმშვის სტანდარტი: MPEG4

ეტაპები	სატელევიზიო ჩვენების ფორმატი	გადაცემის სტანდარტი	კუმშვის ტექნოლოგია
პარალელური მაუწყებლობა	SDTV	სავალდებულო DVBT2	სავალდებულო MPEG4
ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდეგ	ნეიტრალური SDTV ან HDTV	სავალდებულო DVBT2	სავალდებულო MPEG4

ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში მინიმალური პირობები უნდა დადგინდეს მხოლოდ ციფრული სიგნალის ფიქსირებულ რეჟიმში მისაღებად.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ანალოგური მაუწყებლობა უნდა შენარჩუნდეს 2020 წლამდე, ხოლო გალის რაიონის დაფარვა მოხდეს ფაქტობრივი საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებიდან ჩვეულებრივ რეჟიმში.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

- ოპტიმალური მოდელის შერჩევა ქსელის აგების სიჩქარეს, ქსელი ღირებულებასა და ქსელის ხარისხს შორის;
- მიღების მთავარი რეჟიმის და მიმღები ინსტალაციების განსაზღვრება;
- ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი დაფარვის სერვისების განსაზღვრა;
- სიხშირული გეგმა და ქსელის ტოპოლოგია;
- Head- end კონფიგურაცია;
- აპარატურის რეზერვაციის დაგეგმარება;
- დისტრიბუციის ქსელების ტიპები.

ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის რისიკების სპეციფიკაციის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს:

- გადაცემის სისტემის პარამეტრი;
- კომპრესიის სისტემის სტანდარტი;
- პირობითი დაშვების სისტემის პარამეტრი;
- გამოყენებული სიხშირული ზოლი;
- რადიო სიხშირის მაჩვენებლები.

ახალი თაობის HD და სხვა სერვისებზე მოთხოვნის წარმოშობის შემთხვევაში, საქსელო პროვაიდერი წააწყდება ქსელის გამტარუნარიანობის და ხარისხის პრობლემას, რომელიც არ იქნება დამოკიდებული თუნდაც გარემო პირობებზე. ამ რისკების პრევენციის საუკეთესო საშუალება ოპტიკურ-ბოჭკოვან პლატფორმაზე დამყარებული ქსელია. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი უალტერნატივოა. გეოგრაფიულად პრობლემურ ზომებში, საეთერო სიგნალის მიწოდება უნდა მოხდეს სარელეო კავშირებით მაქსიმალურად მოკლე მანძილებზე (ამ ორი

ტექნოლოგიის ჰიბრიდული მოდელი), ხოლო ქსელის დაზღვევა თანამგზავრული კავშირის გზით.

საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელი კარგადაა განვითარებული, განსაკუთრებით მაგისტრალურ დონეზე და მისი გამოყენება აუცილებლად უნდა მოხდეს ქსელის საიმედოობის და მაღალ გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ასევე მაღალი ხარისხის სამაუწყებლო მომსახურების მიწოდების ბაზრის განსავითარებლად.

არსებული შეზღუდული სიხშირული რესურსის პირობებში პრიორიტეტულია, რომ მოსახლეობის მხრივ მაღალკონცენტრირებულ ციფრულ ზონებში, რომლებიც ნაკლებად რთული რელიეფით ხასიათდება, მოხდეს ერთ სიხშირიანი ქსელის აგება (SFN). DVB-T2 სტანდარტზე დაფუძნებული ქსელი მისი შესაძლებლობების მაქსიმუმს იძლევა ერთ სიხშირიანი ქსელის ტოპოლოგიით აგების (SFN) პირობებში. ერთ სიხშირიანი ქსელის ტოპოლოგიით აგების (SFN) პირობებში ხდება სპექტრის გამოყენების მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევა, თუმცა ეს გადაწყვეტა არ უნდა აუარესებდეს რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების მდგომარეობას.

იმისათვის, რომ თავიდან იყოს აცილებული სერვისების მიწოდების ხანგრძლივი ხარვეზები, აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის ან ტექნიკური მომსახურების გამო, გადამცემ ჯაჭვში ჩართული ელემენტების კრიტიკულ ნაწილებს უნდა ჰქონდეს გარკვეული სარეზერვო რესურსი. აღნიშნული საკითხი უნდა განისაზღვროს საკონკურსო პირობებში.

4. ბიზნეს მოდელი

პირველი ორი მულტიპლექსორით კონტენტის გავრცელება უნდა მოხდეს უფასოდ. ფასიანი საეთერო მომსახურების ბიზნეს მოდელი დასაშვები უნდა იყოს მესამე მულტიპლექსორის ამოქმედების შემდგომ, რომელსაც უფლება ექნება შერეული მოდელის მომსახურება შესთავაზოს ბოლო მოხმარებელს. აღნიშნული სერვისების შეთავაზების შესაძლებლობა დამოკიდებული იქნება სატელევიზიო მომსახურების ბაზრის მდგომარეობაზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლების კონტენტი უნდა გავრცელდეს **კომერციული იურიდიული პირის მართვის ქვეშ მყოფი მულტიპლექსირების და ტრანსლირების ქსელის მეშვეობით**, რომელსაც, საერთო ავტორიზაციის და ციფრული სამაუწყებლო სიგნალების გავრცელების ლიცენზიის საფუძველზე, მიენიჭება ყველა შესაბამისი უფლება და დაეკისრება შესაბამისი ვალდებულებები (MUX1), მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტის, როგორც **“must carry”** კონტენტის გავრცელების ვალდებულება. ამ ვალდებულებების მომცველი ლიცენზიის გაცემა, MUX2-ის შემთხვევაშიც, უნდა მოხდეს კონკურსის საფუძველზე, ხოლო მომდევნო მულტიპლექს ქსელის აგების ლიცენზიები უნდა გაიცეს ორ საფეხურიანი აუქციონის საფუძველზე (პირველ ეტაპზე ზოგადი საკონკურსო პირობები იქნება კრიტერიუმი, ხოლო მეორე ეტაპზე ფასი).

მულტიპლექს ოპერატორების მიერ, გარდამავალ პერიოდში, უნდა მოხდეს შემდეგი რაოდენობის არხების განთავსება:

- Multiplex A (ეროვნული კომერციული მულტიპლექსორი) – უნდა მოხდეს 15 Standard Definition TV services (SDTV) კომპერესიის MPEG 4 სტანდარტით;
- Multiplex B – (კომერციული მულტიპლექსორი) უნდა მოიცავდეს 15 Standard Definition TV services (SDTV) MPEG 4 კომპერესიის სტანდარტით.

პირველ და მეორე მულტიპლექს ოპერატორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება უნდა მოხდეს დროის მოკლე პერიოდში ან ერთდროულად. პირს (მასთან დაკავშირებული აფილირებული პირების ჩათვლით) უნდა აეკრძალოს ერთ ეროვნულ ან ერთ რეგიონულ ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელის ლიცენზიის ერთდროული ფლობა.

პირველ მულტიპლექს ოპერატორს (ეროვნული საეთერო მაუწყებლობის ქსელის) სამაუწყებლო მომსახურების დაწყების და გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდგომ, ასევე ამ პერიოდში შექმნილ მეორე მულტიპლექს ოპერატორს და გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდგომ ახალ მულტიპლექს ოპერატორსაც, უნდა მიეცეს უფლება, რომ მოახდინონ მაღალი გარჩევადობის (HDTV) სატელევიზიო სტანდარტით ფასიანი მომსახურების შეთავაზება, ასევე დამატებითი და დაკავშირებული სერვისების მიწოდება, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობით.

მულტიპლექსორის რესურსთან წვდომის (დაშვების ან ჩართვის) წერტილი უნდა განისაზღვროს იმდაგვარად, რომ ხელმისაწვდომი იყოს დაშვების მსურველი

ოპერატორისათვის. დაშვება უნდა განხორციელდეს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის და მის შემდგომ პერიოდში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეგიონული მაუწყებლების დაშვება მათი არსებული ტრანსლირების შესაბამის ციფრულ ზონაში არსებულ წერტილში. 2013 წლის აპრილის მონაცემებით, სიხშირული სპექტრის გამოყენებით, დღეს საქართველოში 34 საერთო მაუწყებელი ავრცელებს სატელევიზიო პროგრამას, რომელთაგან 27 რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებელია, 7 კი ეროვნული. ანალოგური მაუწყებლობის არეალი კი განისაზღვრება 25 სამაუწყებლო ზონის მიხედვით.

გარდამავალ ეტაპზე რეგიონული არხების კონტენტის გავრცელება უნდა განხორციელდეს შემდეგი მოდელის მიხედვით - რეგიონული არხები ვრცელდება პარალელური ფორმით თავისუფალი სიხშირეების გამოყენებით ამოქმედებული საეთერო ქსელით. მათი გავრცელება ხდება გაფართოებული ციფრული ზონის მიხედვით. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ მოხდება რეგიონული არხების მიერ ურთიერთ გადაფარვა (პლატფორმის შიდა კონკურენცია).

5. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიების და ავტორიზაციის საკითხები

ევროპული პრაქტიკის, ისევე, როგორც ევროკავშირის ჩარჩო დირექტივისა და სამაუწყებლო სფეროს მარეგულირებელი რეკომენდირებული რეგულირების მიხედვით, მიდგომა სადენიან და უსადენო მაუწყებლობასთან მიმართებაში უნდა გახდეს იდენტური, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის უზრუნველსაყოფად.

სამაუწყებლო ქსელის ლიცენზიის გაცემისას, მასში გაერთიანებული უნდა იყოს შემდეგი სამი უფლება:

- სპექტრით სარგებლობის უფლება;
- მაუწყებლობის გავრცელების უფლება;
- ოპერირების უფლება.

პირველ მულტიპლექს ოპერატორს, სავალდებულოდ გასავრცელებელი კონტენტის გარდა, დამოუკიდებლად, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების დაცვით უნდა ჰქონდეს უფლება, წინასწარ გამოცხადებული პირობებით არადისკრიმინაციულად, გამჭვირვალედ მოახდინოს მაუწყებლის დაშვება ან კონკურსის საფუძველზე ან პირველი განმცხადებელი ოპერატორის რიგითობის მიხედვით.

6. უფლების მინიჭების პროცედურები

გარდამავალ პერიოდში, მულტიპლექსირების ლიცენზიის მინიჭება უნდა მოხდეს საჯარო კონკურსით, რა დროსაც უნდა შედარდეს საქსელო გადაწყვეტა და ქსელის აგების ვადა, სიხშირული სპექტრის გამოყენების ეფექტურობა, დაშვების პირობები და ტარიფების ოდენობა, ქსელის აგების გარანტიების არსებობა, მომხმარებლისათვის მისაწოდებელი მომსახურების ხარისხობრივი პარამეტრების დაცვის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გონივრულობა, რომელსაც განსაზღვრავს კომუნიკაციების ეროვნული კომისია საკონკურსო პირობებით.

კონკურსანტის წარმოდგენილი ეკონომიკური მოდელი ფინანსურად მაქსიმალურად დაბალი დანახარჯებით და მაღალი ხარისხის ქსელით უნდა იძლეოდეს დასმული ამოცანის გადაჭრის შესაძლებლობას და ეს ფორმირებული უნდა იყოს, პირველ რიგში დაშვების დაბალი ტარიფებით.

7. საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკა

სახელმწიფო დახმარების პოლიტიკა მოიცავს ღონისძიებებს ორი ძირითადი მიმართულებით: ბოლო მომხმარებლების მხარეს, და მომსახურების მიმწოდებლის მხარეს, ასევე აპარატურის იმპორტიორების მხარეს. დაფინანსებას დაქვემდებარებული რისიკერები უნდა იყოს ნეიტრალური ქსელის მიმართ და უფასო ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის სიგნალების მიღების გარდა, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ჩაერთოს საკაბელო და სატელიტური ქსელში.

ციფრული მაუწყებლობის დაინტერესებული მხარეების დახმარების სახელმწიფო პოლიტიკა მოიცავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც წახალისებს მსყიდველობით უნარიან ბოლო მომხმარებელს, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ადრეულ ეტაპზე შეიძინოს შესაბამისი აპარატურა.

მომხმარებლების დონეზე დაფინანსების სქემების განხილვისას ამოსავალი წერტილი უნდა იყოს:

- მომხმარებლების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის უზრუნველყოფა, მის ადრეულ სტადიაზე, დროის მოკლე პერიოდში, ე.წ. მინიმალური კრიტიკული მასის შესაგროვებლად;
- სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ და დაბალშემოსავლიან მომხმარებლებისთვის რეალური შესაძლებლობის მიცემა, რომ შეიძინონ რისიკერები ან მიიღონ თანადაფინანსება შესაბამისი კატეგორიის ტელევიზორების, ან სხვა მოწყობილობების შესაძენად.

2013 წლის იანვრის მონაცემებით "მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის" მონაცემთა ბაზაში 70 000 ქულამდე რეიტინგული ქულის მქონე ოჯახები უნდა დაფინანსდნენ 100%-ით. 70 001-200 000 ქულამდე ჯგუფში გაერთიანებული ოჯახები უნდა დაფინანსდნენ 50%-ით.

ციფრული მაუწყებლობის პროცესის სტიმულირებისათვის, სიღარიბის მიღმა მყოფი პირების სარეიტინგო შეფასების მიზნებისათვის, სამაუწყებლო ტერმინალები და მასთან დაკავშირებული მიმღები მოწყობილობები, არ უნდა იყოს შეყვანილი არა სასოფლო-სამეურნეო ქონების კატეგორიაში, როგორც დაფინანსების ქულის განმსაზღვრელი.

მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა უნდა მოიცავდეს, აპარატურის ფასის სუბსიდირების გარდა, საინსტალაციო სამუშაოების დაფინანსებასაც.

სუბსიდირების პროცედურების დამდგენი ნორმები უნდა იყოს არაორაზროვანი, მარტივად გასაგები და აღქმადი, გამჭვირვალე. მთავრობის მიერ უნდა დამტკიცდეს პროცედურები უფასო მოწყობილობის გადაცემის წესის დადგენისთვის ან მათი შეძენისას შესაბამისი

სახელმწიფო დახმარების გაწევისთვის. ყველა ტერმინალი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი მარკირებით და ქართულ და სხვა ენებზე შედგენილი **გზამკვლევით.**

სახელმწიფო სუბსიდირებით გათვალისწინებული ვაუჩერის განაღდების ვადა უნდა იყოს 6 თვე. დაფინანსებას უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი რისიკერები. სუბსიდირების ვაუჩერი უნდა იყოს სახელობითი და მისი სხვა პირზე გადაცემა არ უნდა იყოს დაშვებული.

8. რეგიონული მაუწყებლების დახმარების ღონისძიებები

რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების წამახალისებელ საშუალებად, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში, გამოყენებული უნდა იყოს მათ საკუთრებაში არსებული ლიცენზიების მოქმედების ზონაში სიგნალის გავრცელებით მიღებული შემოსავლების ნაწილში რეგულირების საფასურის ნულოვანი ოდენობის დადგენა. ასევე, შესაძლოა, მოხდეს მათ გადასახადებისგან გათავისუფლება, მხოლოდ პარალელური მაუწყებლობის შემთხვევაში და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში. ანალოგური ლიცენზიების სანაცვლოდ, შესაძლოა, გაფორმდეს საკონცესიო ხელშეკრულებაც სახელმწიფოსა და ლიცენზიანტებს შორის.

მაუწყებლების მხარდასაჭერად, უნდა განხორციელდეს შემდეგი ტიპის აქტივობები:

- ციფრული მაუწყებლობის ტექნოლოგიების და ინტერაქტიული პროგრამების კვლევის, ასევე ინფრასტრუქტურული საკვლევო პროექტების დაფინანსება;
- შემოღებულ იქნას სუბსიდიები მაუწყებლებისათვის, რომ კომპენსირდეს დამატებითი ხარჯები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში;
- მოხდეს გადამცემი ქსელების მშენებლობის დაფინანსება იმ ზონებში, სადაც პირველადი და შემდგომი ანალიზი ცხადყოფს, რომ ვერ იქნება მიღწეული სათანადო ციფრული დაფარვა;
- კომპენსირდეს ფინანსური დახმარება იმ მაუწყებლებისთვის, რომლებმაც, ობიექტური გარემოებების გამო, მიზანშეწონილია, უარი თქვან მათ სარგებლობაში მყოფი ლიცენზიებით სარგებლობაზე, ლიცენზიების ვადის ამოწურვამდე.

კრიტერიუმები რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლებისათვის დახმარების განაცხადის წარსადგენად შემდეგია:

- რეგიონული სტატუსი;
- კომპანიის არსებული სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება;
- ტექნიკური მიზანშეწონილობა;
- დაფინანსების პერიოდი;
- სიგნალის გავრცელების არეალი;
- კონტენტის უფასოდ ტრანსლირების პირობა.

დახმარების გაცემა უნდა მოხდეს გამჭვირვალედ, აუცილებლობის შემთხვევაში, პროპორციულობის პრინციპის დაცვით: სახელმწიფო დახმარებით არ უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი რომელიმე კონკრეტულ ტექნოლოგიას, უნდა მოხდეს საკაბელო და სატელიტური პლატფორმის პარალელურად გახილვა (თუ არ ჩაითვლება საჭიროდ რომელიმე მიმართულების სუბსიდირება, რაც ასევე უნდა დასაბუთდეს).

დახმარება უნდა გაიცეს გადართვის პროცესში წარმოშობილი დროებითი პრობლემების მოსაგვარებლად. ბენეფიციარების შერჩევა უნდა მოხდეს წინასწარ, ზუსტად განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. ბენეფიციარმა უნდა დაადასტუროს, რომ არსებობს თანადაფინანსების აუცილებლობა.

9. კონკურენციის რეგულირების პოლიტიკა

შეზღუდული სიხშირული სპექტრის პირობებში, გარდამავალ ეტაპზე, უნდა მოხდეს ორი ციფრული მიწისზედა საეთერო მაუწყებლობის ქსელის მართვის ოპერატორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება პლატფორმის შიდა კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით.

კონკურენციის რეგულირების ამოცანებია:

- ინვესტიციების მოზიდვა და სახელმწიფოს მინიმალური ფინანსური მონაწილეობა ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში და შემდგომ ეტაპზე;
- ბაზარზე შემოსვლის სისტემური და არასისტემური ბარიერების შემცირება;
- ციფრული მაუწყებლობის ბიზნეს სისტემის ფინანსური და საქსელო სტაბილურობა;
- ინოვაციების დანერგვა სექტორში;
- ამოწურვადი რესურსების ეფექტური გამოყენება.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების კომპლექსური განხორციელება:

- ბაზრის წინასწარი და შემდგომი რეგულირების საკითხების განსაზღვრა, დროული და ზომიერი რეგულირება;
- სავალდებულო ტრანზიტიის რეგულირება, რომელიც მიიღწევა კონკრეტულ კონკურენტ ტექნოლოგიურ პლატფორმებში კონტენტის გავრცელების დავალდებულებით, ძირითადად, ცალკეული საზოგადოებრივი სერვისების არხების მეშვეობით. აღნიშნული მნიშვნელოვანია მედია პოლიტიკის კუთხით;
- “სავალდებულო შეთავაზების” ვალდებულების რეგულირება, რომელიც უნდა ემყარებოდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კვლევას და რომლის მიზანი უნდა იყოს ყველაზე მოთხოვნადი არხების გამოვლენა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე.

კონკურენციის რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს დაშვების პირობების მაქსიმალური გამჭვირვალობა, დაშვების არადისკრიმინაციულობა და ქსელის ყველა საჭირო ელემენტთან წვდომა ხარჯების მინიმალიზაციაზე ორიენტირებული და გონივრული ტარიფებით. (მინიმალიზაცია)

ამ მიმართულებით, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, ასევე ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელის პასიურ ელემენტებთან და თანალოკაციის ფართთან დაკავშირებულ სერვისებთან წვდომის სამართლიანი და თანაბარი პირობების დადგენა.

კონკურენციის რეგულირებისას ციფრული მაუწყებლობის გარდამავალ და მომდევნო ეტაპებზე, უნდა მოხდეს შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- წინასწარი რეგულირების ფარგლებში უნდა მოწესრიგდეს იმ ინფრასტრუქტურასთან დაშვების საკითხები, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ კონკრეტულ რესურსთან წვდომაში;
- წინასწარი რეგულირების ფარგლებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ უნდა მოხდეს კონკურენციის რეგულირება საბითუმო ბაზარზე;
- წინასწარი რეგულირების ფარგლებში, კონკურენცია უნდა განისაზღვროს საბითუმო ბაზრის ყველა იმ სეგმენტზე, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს სამაუწყებლო სიგნალების გავრცელების პროვაიდერის მიერ, მათ შორის ანძებთან, თანალოკაციის ფართთან დაშვების მიმართულებით;
- კონკურენციის რეგიონულ დონეზე უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობის რეჟიმით უნდა მოხდეს რეგიონული და რაიონული (ადგილობრივი) მაუწყებლებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, რომ დაიზოგოს რესურსები საეთერო ციფრული მაუწყებლობის დაშვების მომსახურების მისაღებად და გაიზარდოს მათი კონტენტის კონკურენტუნარიანობა;
- უნდა დარეგულირდეს კონკურენცია სატელევიზიო სიგნალების გადაცემის მართვის მომსახურების ბაზრის სეგმენტზე;
- ეფექტური კონკურენციის და ქმედითი რეგულირების უზრუნველსაყოფად, უნდა მოხდეს არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის ერთობლივად აშენების, ასევე, ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, გამოყენების საკითხის რეგულაციების შემოღება;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, განიხილოს დავა მაუწყებელსა და საქსელო ოპერატორს შორის, ხოლო მისი განხილვის ვადები უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე (განსაკუთრებით გარდამავალ ეტაპზე);
- დაშვების ხელშეკრულების მოშლის უფლება, სატელეფონო ურთიერთჩართვის მსგავსად, უნდა ხდებოდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ნებართვით და თანხმობით;
- ციფრული მაუწყებლობის გარდამავალ ეტაპზე, მულტიპლექსორის სიმძლავრეებთან დაშვების პრინციპი „პირველი მოვედი, პირველი უნდა დამიშვა“ უნდა შეიზღუდოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ. კომისიამ, დაშვების საკითხის შეფასებისას, უნდა იხელმძღვანელოს კანონით განსაზღვრული არსებითი კრიტერიუმებით (წარმოდგენილია ქვემოთ), ასევე იმ პირობებით, რომელიც გამოვლინდება მაუწყებლობის პრიორიტეტების კვლევის საფუძველზე. იდენტური პირობების არსებობის შემთხვევაში, მულტიპლექსორის სიმძლავრესთან უნდა მოხდეს იმ მაუწყებლის დაშვება, ვინც პირველმა შეიტანა განაცხადი;
- თუ მაუწყებელი, ამავდროულად, საეთერო ციფრული ქსელის ლიცენზიის მფლობელია (თუ ამას დასაშვებად მივიჩნევთ), ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ეტაპზე, უნდა დაეკისროთ ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება, საქსელო და სამაუწყებლო კონტენტის წარმოების მიმართულებით. კონკურენციის შეზღუდვის საფრთხის გაზრდის შემთხვევაში, მას უნდა დაეკისროს სეპარაციის ვალდებულება სპეციალური ვალდებულების ფარგლებშია.
- სავალდებულო ტრანზიტის და სავალდებულო შეთავაზების ვალდებულებები უნდა დარეგულირდეს, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში;

- აპარატურაზე (რისივერებზე) დაბალი ფასის შენარჩუნების მიზნით, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს იმპორტიორების მიერ შემოტანილი აპარატურის საცალო ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე წარმოადგინოს გარანტიები, შემოტანილი რისივერების სრული ურთიერთ ჩანაცვლებადობის და მათი სხვა ქსელებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდირებულ მულტიპლექს მოდელით გამარჯვებულმა საქსელო ოპერატორმა უნდა შეავსოს ყველა შესაძლო არხის რესურსი ბოლომდე, იმ მოცულობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ამ სტრატეგიით დადგენილი პრინციპით (პირველი და მეორე მულტიპლექსორების კვოტირების/კომპლექტაციის მეთოდი). ციფრული საეთერო ქსელის მომსახურების პროვაიდერი უნდა შევიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობებში პროგრამების პროვაიდერთან/მაუწყებლებთან. არსებითი პირობები უნდა დადგინდეს საქართველოს კანონით „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და დაკონკრეტდეს შესაბამის კანონქვემდებარე აქტში.

გარდამავალ პერიოდში შერჩეული ლიცენზიანტს ენიჭება შედეგი უფლებები:

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოყოფილი სიხშირით სარგებლობის უფლება (MUX 1, MUX 2);
- არხების განთავსება მულტიპლექსორში, ოპერატორის გადაწყვეტილებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ;
- სხვა სიხშირეების გამოყენებით სხვა ქსელის აგების უფლება ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის შემდგომ;
- ქსელის სიმძლავრეების მაუწყებლობისათვის გამოუყენებელი ნაწილის დამატებითი სერვისებისათვის გამოყენება.

გარდამავალ პერიოდში შერჩეულ ლიცენზიანტს ეკისრება შემდეგი ვალდებულებები:

- არხების უფასო გავრცელების/განთავსების ვალდებულება, რომელიც ექცევა განსაკუთრებული კატეგორიის ქვეშ (საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტი ან/და სავალდებულო ტრანზიტის პროგრამები), ისევე, როგორც მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოსახლეობისათვის, ლიცენზიით განსაზღვრული პირობებით;
- საზოგადოებრივი რადიოპროგრამების შეუზღუდავი გავრცელების ვალდებულება;
- სამაუწყებლო ქსელის განვითარება (თვითონ ან/და ქვე კონტრაქტორის მიერ), საკონკურსო პირობების, მისი დანართებისა და კონტრაქტის პირობების შესაბამისად;
- MPEG4 კომპრესიის უზრუნველყოფა და სხვა ტექნიკური პირობების დაცვა;
- სამაუწყებლო ქსელის მიერ გამოყენებული სიხშირეების ჩანაცვლება, თუ ეს აუცილებელია ქსელის და სერვისების შემდგომი განვითარებისათვის;
- ჩართულობა მარკეტინგში და მომხმარებლების ინფორმირების უზრუნველყოფაში, ციფრულ მაუწყებლობასთან და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით;

- ჩართულობა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში, ტექნიკური და საკომუნიკაციო მენეჯმენტი (ინფორმირების სისტემატური ვალდებულება მისი ქსელის მშენებლობის ან წარმოდგენილი გრაფიკის დაცვის შესახებ);
- დაფარვის ვალდებულება;
- დაშვების ვალდებულება;
- სატარიფო და არადისკრიმინაციულობის, ასევე გამჭვირვალების ვალდებულება.

სავალდებულო ტრანზიტის ვალდებულებების შესაბამისად, უნდა მოხდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის, ასევე კერძო მაუწყებელთა კონტენტის, რომელსაც აქვთ საინფორმაციო და სადისკუსიო გადაცემები და რომელსაც უყურებს კონკრეტული ადგილობრივი ან/და ციფრული რეგიონის მოსახლეობის გარკვეული პროცენტული რაოდენობა, სავალდებულო დაშვება მულტიპლექსორის სიმძლავრესთან გარკვეული საფასურის სანაცვლოდ.

პლატფორმის შიდა კონკურენციის გაზრდის საჭიროების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა ჰქონდეს კონტენტის პროვაიდერზე ე.წ. „შეთავაზების ვალდებულების“ დაწესების უფლებამოსილება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რათა პლატფორმის ოპერატორმა შეძლოს მაცურებლისთვის საინტერესო კონტენტის დივერსიფიცირება და გავრცელება მისი ქსელის მეშვეობით.

10. მულტიპლექსირების ოპერატორის ქსელში არხების განთავსების რეგულირება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შესაბამისი სამართლებრივი აქტით უნდა დაადგინოს მულტიპლექსორის სიმძლავრეებთან წვდომის პირობები გარდამავალ პერიოდში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პრიორიტეტულობა უნდა მიენიჭოს იმ მაუწყებლების დაშვებას, რომლებიც საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიას ფლობდნენ ანალოგური მაუწყებლობის გამორთვამდე;
- პირველ ორ მულტიპლექსორში არხების განთავსებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) მაუწყებლებს, ასევე ადგილობრივ და უფასოდ ტრანსლირებად არხებს;
- პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მაუწყებლებს, რომლებმაც უნდა განახორციელონ პრიორიტეტული მიმართულებების კონტენტის ტრანსლირება.

იმისათვის, რომ მოხდეს არხის განთავსება მულტიპლექსორში, აუცილებელია მინიმუმ ორი კრიტერიუმის ერთობლივი დაკმაყოფილება:

- საინფორმაციო და სადისკუსიო პროგრამების წარმოება;
- გასართობი - პირდაპირ ტრანსლირებადი სპორტული, საზოგადოებრივი, კულტურული და ა.შ;
- შემეცნებითი ხასიათის - ისტორიული, კულტურული, სამეცნიერო, მუსიკალური და ა.შ.;
- მხატვრული პროგრამები, ფილმები და ასევე ბავშვებზე და მოზარდებზე გათვლილი პროგრამები).

11. საინფორმაციო კამპანიის შინაარსი და მისი დაფინანსება

საინფორმაციო კამპანიის მიზანია საზოგადოების ყველა დაინტერესებული ჯგუფის ინფორმირება დაგეგმილი ცვლილებების რაობის და ვადების შესახებ. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ყველა ბოლო მომხმარებლისათვის ციფრული მიწისზედა საეთერო მაუწყებლობის უპირატესობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება იოლად აღქმადი ფორმით, ყველა ეთნიკური თუ სხვა ნიშნით გამორჩეული ჯგუფის მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

აღნიშული მიზნით უნდა განხორციელდეს შემდეგი აქტივობები:

- საზოგადოების ინფორმირება, რომ მიმდინარეობს მომზადება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის და ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის მიმართულებით, ვადების მითითებით;
- საზოგადოების ინფორმირება ციფრული მაუწყებლობის უპირატესობების შესახებ ანალოგურ მაუწყებლობასთან შედარებით;
- ინფორმაციის წარდგენა დაგეგმილი სუბსიდიების შინაარსის, ბენეფიციარების, სუბსიდიების გაცემის წესის და ოდენობის, სუბსიდიების მიღების და ვადების, ადგილის შესახებ. საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ასევე ყველა სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს ბოლო მომხმარებლისთვის ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვასთან დაკავშირებით (საინფორმაციო-საკონსულტაციო ინტერნეტ გვერდის, საკონსულტაციო უფასო ტელეფონის ნომრის შესახებ ინფორმაციის წარდგენა, საინფორმაციო კლიპებისა და ფლაერების მომზადება და ა.შ.).

საინფორმაციო კამპანია უნდა შეეხოს შემდეგ მიმართულებებს:

- ინფორმაციის მიწოდება ციფრული უფასო და ფასიანი საეთერო მაუწყებლობის შესახებ და ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის ვადების შესახებ;
- ინფორმაცია, თუ როგორი პარამეტრების აპარატურაა (რისივერები და ტელევიზორებია) საჭირო ციფრული საეთერო მომსახურების მისაღებად, ასევე ინფორმაცია მიმღები ანტენების და მისი მკვებავი კაბელის პარამეტრებისა და მონაცემების შესახებ;
- ინფორმაცია მოწყვლადი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განსაკუთრებული მოთხოვნების დაფინანსების, საინფორმაციო, საინსტალაციო პროცესში დახმარებისთვის განსაზღვრული სპეციალური ღონისძიებების შესახებ.

12. დაფინანსება და ფასების რეგულირება

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლების პროცესის დაფინანსებისას უნდა მოხდეს ქვემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება:

- ციფრული საეთერო რისიკერების სუბსიდირების და საინსტალაციო ხარჯების დაფინანსება ტექნოლოგიურად ნეიტრალური ფორმით, ვაუჩერების გაცემით ფიზიკურ პირებზე (ოჯახებზე);
- სარეკლამო/საინფორმაციო კამპანიის ხარჯების დაფინანსება საზოგადოების ინფორმირების მიზნით;
- სტრატეგიის იმპლემენტაციის მართვის ხარჯები (ანალიზი, მოსაზრებების მოგროვება, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და ა.შ.).

უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ამ სტრატეგიის იმპლემენტაციის პერიოდში, არ არსებობდეს მოსახლეობის არც ერთი ჯგუფი, რომელიც სოციალურად დაუცველობის ან რაიმე სხვა მიზეზებით მოკლებული იქნება შესაძლებლობას მოახდინოს ციფრული სატელევიზიო მომსახურების მიღება.

პროექტის რეალიზაციისათვის დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი სამი წყაროდან:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაგროვილი ან/და გაზრდილი რეგულირების საფასურიდან მაუწყებლებისათვის და ნაწილობრივ, საქსელო მომსახურების ოპერატორებისათვის;
- რესურსები, რომლებიც მიღებული იქნება მულტიპლექსირების ლიცენზიების განაწილებიდან გარდამავალ და შემდგომ პერიოდში.

საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში, სამართლებრივი ურთიერთობის ძირითად მონაწილეებად მომსახურების მიწოდების მხარეს მოიაზრებიან ციფრული სამაუწყებლო საეთერო ქსელის მულტიპლექს ოპერატორები და მაუწყებლები. სატელეკომუნიკაციო ბაზრის საბითუმო სეგმენტების მსგავსად, ციფრული საეთერო მაუწყებლობის გარდამავალ და მის შემდგომ ეტაპებზე, მთავარ პრობლემას წარმოადგენს მულტიპლექსორის რესურსებთან დაშვების საკითხების რეგულირება.

13. სტრატეგიის იმპლემენტაციის მართვა და ზედამხედველობა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ასევე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა განხორციელოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგი, ასევე საზოგადოების ინფორმირებისთვის საჭირო აქტივობები.

პროცესის მონიტორინგის სისტემამ უნდა მოიცვას ორი დონე:

1. ცალკეული ზომები და აქტივობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს კონკრეტული უწყებების მიერ, დამოუკიდებლად, დაკისრებული ვალდებულებების მიხედვით;
2. ერთობლივი ზომები და აქტივობები.

სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგის სისტემამ უნდა მოიცვას შემდეგი აქტივობები:

1. საქართველოს მთავრობის და ფართო საზოგადოების წინაშე ანგარიშების წარდგენა მთელი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში სამინისტროსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ამ სტრატეგიის მიხედვით;
2. კვარტალური ანგარიშების მომზადება.

14. დაინტერესებული მხარეების ვალდებულებები

სამოქმედო გეგმაში დეტალურად უნდა განისაზღვროს საბაზისო დავალებები/ამოცანები და ვალდებულებები ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვის პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარისათვის, ასევე გაანალიზდეს ყველა დაკავშირებული კანონი და კანონქვემდებარე აქტი მათი ამ პოლიტიკასთან შესაბამისობისთვის და კორექტირებისათვის.

ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში მთავარი დაინტერესებული მხარეები არიან:

- ✓ საქართველოს მთავრობა და ის ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სტრატეგიის იმპლემენტაციაზე;
- ✓ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
- ✓ საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- ✓ კერძო მაუწყებლები;
- ✓ საქსელო ოპერატორები;
- ✓ რისივერების/ინტეგრირებული ტელევიზორების მწარმოებლები და საცალო მოვაჭრეები;
- ✓ მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები;
- ✓ ანტენების და საკაბელო სისტემების ინსტალატორი კომპანიები და მომსახურე პერსონალი;

საქართველოს მთავრობამ და იმ სამინისტროებმა, რომლებიც ვალდებულნი არიან წარმოდგენილი სტრატეგიის იმპლემენტაციაზე, ამ სტრატეგიის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ:

- ციფრული სატელევიზიო გადართვის პროცესის დასრულება 2015 წლის 17 ივლისამდე, ITU-ს 2006 წლის ჟენევის გეგმის შესაბამისად;
- უნივერსალური დაშვება საზოგადოებრივი მაუწყებლის არხებთან სხვადასხვა ხელმისაწვდომი პლატფორმით;
- პროცესთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი აქტის (კანონი და კანონქვემდებარე) შესაბამისი მოწესრიგება;
- რადიოსიხშირული სპექტრის, რომელიც გამოთავისუფლდება ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის შემგომ, ანუ ციფრული დივიდენდის გამოყენება საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებელის მისაღებად ახალი თაობის სერვისების მიწოდების გზით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური განვითარების კუთხით (ცვლილებები სიხშირეების განაწილების ეროვნულ გეგმაში);
- კოორდინირებული მუშაობა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის ეფექტურობისათვის;
- უფასო (FTA) სამაუწყებლო სერვისების მიწოდება, სულ მცირე, არსებული ანალოგური მაუწყებლობის მომსახურების მიმღები ყველა ოჯახისათვის;

- მოსახელობის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში დახმარების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მომხმარებლისთვის, მომხმარებლის ციფრული ინფორმირებულობის პროგრამის მიხედვით;
- რომ მოსახელობის რომელიმე ჯგუფი არ დაზარალდეს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში;
- აუცილებელი სუბსიდიების გათვალისწინება ციფრული რისიკერების შესაძენად იმ ფიზიკური პირებისათვის, ვინც ექვემდებარება სუბსიდირებას;
- სახსრების მოძიება-გამოყოფა სარეკლამო კამპანიის საწარმოებლად.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა უზრუნველყოს:

- რადიოსიხშირული სპექტრის მართვის საკითხების დროული მოწესრიგება, რომლებიც უკავშირდება ციფრული მაუწყებლობის გარდამავალ და მის შემდგომ პერიოდს, რომ არ მოხდეს ციფრულ მაუწყებლობისათვის საჭირო სპექტრის გაცემა პროცესის დაწყებამდე;
- საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლების და საქსელო/მულტიპლექს ოპერატორების მიერ სახელმწიფოსთან საკონცესიო შეთანხმების შესრულება და უზრუნველყოფა იმისა, რომ ცვლილებები დათმობის ხელშეკრულებაში, აუცილებლობის შემთხვევაში, მომზადდეს დროულად;
- რეკომენდაციების მიწოდება საქართველოს მთავრობისათვის და სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის, რომლებიც მოკლე ვადიან პერიოდში ან/და აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს მარეგულირებელ კანონმდებლობაში, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დაბრკოლებები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის;
- საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის ფუნქციონირება ღია და ეფექტური კონკურენციის საფუძველზე და ნებისმიერი სისტემური და არასისტემური ბარიერების აღმოფხვრა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის;
- ახალი სერვისების, როგორცაა პროგრამების ელექტრონული გზამკვლევი (EPG), პირობითი დაშვების სააბონენტო სერვისები (conditional access) და სხვა უახლესი მომსახურებები, შესაბამისობაში მოყვანა ციფრული მაუწყებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან და მათი გამოყენების უფლების ასახვა შესაბამის სტანდარტებში.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს:

- უპირველეს ყოვლისა, ყველა ზომების მიღება საზოგადოებრივი კონტენტის ხელმისაწვდომობისთვის და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის არ დაბლოკვისთვის;
- დამატებითი სერვისების მიწოდება, რომელიც არ იყო ხელმისაწვდომი ანალოგური პლატფორმით მაუწყებლობისას;
- ინოვაციური პროგრამების მიწოდება, რომელიც დამოკიდებულია ციფრული მაუწყებლობის მაღალ ხარისხზე;

- ახალი სერვისების მიწოდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ხანში შესული მაყურებლებისთვის;
- დამატებითი სერვისები მხედველობის და სმენის პრობლემების მქონე მაყურებლებისათვის;
- მრავალენოვანი მაუწყებლობა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის;
- იმ ინფორმაციის მიწოდებაში აქტიური მონაწილეობა, რომელიც უნდა იცოდეს მაყურებელმა ციფრული მაუწყებლობის, გადართვის, აპარატურის, ინსტალაციის პროცესის შესახებ.

კერძო საეთერო მაუწყებლებმა უნდა უზრუნველყონ:

- ბოლო მომხმარებლების ინფორმირების პროგრამის ხელშეწყობა ციფრული მაუწყებლობის შესახებ;
- გარდამავალი პროცესის დასრულების შემდგომ მაღალი გარჩევადობის პროგრამების მიწოდება, რომლებიც ისარგებლებენ მომხმარებლის მაღალი ინტერესით (სპორტი, გართობა, განათლება დასხვა პროგრამები);
- დამატებითი სერვისების გავრცელება, რომლებიც არ იყო ხელმისაწვდომი ანალოგური მაუწყებლობისას.

ქსელი ოპერატორებმა უნდა უზრუნველყონ:

- საწყისი ინვესტიციების განხორციელება ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მშენებლობაში, ეროვნულ, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე;
- სათანადო გამტარუნარიანი სადისტრიბუციო არხები ყველა საჭირო DVB-T2 გადამცემისთვის, საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლების პროგრამების გასავრცელებლად;
- სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში და კონსულტირება ტექნიკურ დეტალებზე და სხვა ტექნოლოგიებზე;
- მაუწყებლების ხელშეწყობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში (ინტერაქტიული და სხვა ახალი თაობის სერვისები).

მოწყობილობების იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ:

- ისეთი ციფრული რისიკერის იმპორტირება, რომელიც თავსებადი იქნება მულტიპლექს ოპერატორის ციფრული ქსელთან;
- მომხმარებლებისთვის რჩევების მიცემა იმ საკითხებზე, რომელიც შეეხება ციფრული რისიკერების დაშვებადობას და საქსელო თავსებადობას, ასევე მათი ტექნიკური დეტალების, ფასის, გზამკვლევის გამოყენების და სხვა მსგავს საკითხებზე;
- მათი პერსონალის მიერ მომხმარებლის დროული, ადეკვატური და სრული ინფორმირება რისიკერების და სხვა დაკავშირებული მოწყობილობების შესახებ;

- მომხმარებლების დროული, სრული და ზუსტი ინფორმირება ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის ვადების შესახებ.

მომხმარებელთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ:

- ბოლო მომხმარებლების მაქსიმალური ინფორმირება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის შესახებ;
- ბოლო მომხმარებლების კონსულტირება მათი უფლებების შესახებ;
- ასაკობრივი და სხვა მიზეზებით მოწყვლადი მოსახლეობის ინფორმირება დროულად, ადეკვატურად და ამომწურავად ციფრული საეთერო მაუწყებლობის სიკეთეების, მისი მიღებისთვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ.

ანტენებისა და საკაბელო სისტემების რეალიზატორმა და საინსტალაციო კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ:

- ინსტალაცია, მომსახურება საერთო ანტენების სისტემების და კაბელების შეერთებების/შეყვანის და დაკავშირებული მოწყობილობების სამუშაოების შესრულებისას;
- ბოლო მომხმარებლის დროული, ადეკვატური და სრული ინფორმირება და მომსახურების მისაღებ ფასად მიწოდება.